ცუნცულა ციყვი

მოსწავლეები გაივარჯიშებენ მარცვალთა დათვლასა და დასახელებაში.



კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: სათამაშო ციყვი ან ციყვის სურათი (ან ბავშვებისთვის სახალისო ნებისმიერი სხვა არსება. შესაბამისად, თამაშსაც შეეცვლება სახელი. მაგალითად, კრეჭია კურდღელი, ხუმარა მელია, ღრენია მგელი... ასეთი ჩანაცვლება ლექსიკურ მარაგს გაამდიდრებს.).

მსვლელობა

- მასწავლებელი დასხამს ბავშვებს წრედ, თავად კი დაიჭერს ხელში სათამაშო ციყვს ან ციყვის სურათს.
- შემდეგ მიდის ერთ-ერთ ბავშვთან და გზად წარმოთქვამს (ან წაიმღერებს) ფრაზას: „ვარ ცუნცულა ციყვი, სახელს ხომ არ იტყვი?“ ან „ვარ პატარა ბელი, თქვი სახელი, გელი“. ამის თქმის შემდეგ კი გაუწვდის ციყვის სათამაშოს ან სურათს.
- ბავშვი: „თა-მუ-ნა.“
- მასწავლებელი: „მოდი, ყველამ ერთად ვთქვათ.“
- კლასი ხმამაღლა და ერთად წარმოთქვამს სახელს „თა-მუ-ნა“. თან ყოველ მარცვალზე ტაშს უკრავენ.
- მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, რამდენი მარცვალია ამ სიტყვაში, რომელია პირველი მარცვალი. თუკი პირველ მარცვალს არ ვიტყვით, რა სიტყვა დაგვრჩება და ა.შ.
- მასწავლებელი: „ცუნცულ, ბუნცულ, ვი, მადლობა, რომ თქვი.“
- ამის შემდეგ ციყვიანი ბავშვი გადადის სხვა მოსწავლესთან და გაიმეორებს იმავეს მის სახელზე.
- თამაში დასრულდება მაშინ, როდესაც ყველა მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას.